

**ემუქრება
თუ არა
ზურაბიშვილს
ციხე?!
3**

**საგაომოქიებო
კომისია
ექსპრეზიდენტამდა
ვიღის 3**



ჩვენი დროის მაწაკვლეუნი


საქართველოს

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი


№91 (9922) 2025 წლის 27 ივნისი, პარასკევი

რესპუბლიკა

**ლიბერალიზმის
ვირთხები მსუყვე
ყველის ნაჭრის
მოლოდინში**



დათა თავაიის



„ლიბერტადან“ საქართველოს
იდეოლოგიურ ინტერვენციამდა



ქართველები
საყოველთაო
ეროვნული
იდეოტიფიზმისგან
გამოლენჩეხული
ხალხია!!!
ლაშა ბუღაძე.



9
ფაშინიანს
ეკლესია
დაუპირისპირდა

●
ბარბინ II თუ
ნებაყოფლობით
არ წავა, სამყსო
მას ქრისტიანული
წესით გაიყვანს!

●
ანტიკომუნური
შეთქმულა
გახსნილია!

ლიბერალისტების პარკაში ბრძედება

დონალდ ტრამპი:

**ურანის გამამდიდრებელი ბირთვული
ობიექტები სრულიად განადგურებულია!**

**არ მიწდა, პიროსიანსა და ნაგასაკის
გაგალითი გამოვიყანო, გაგრამ სწორად
ამან განაპირობა ომის დასრულება**



დონალდ ტრამპის თქმით, მას შემდეგ, რაც აშშ-მა განადგურებული დატყმები მიიტანა ირანის ბირთვული ობიექტებზე, ირანი ახლა ურანის გამამდიდრებელ ორიენტირებული ველარ იქნება.

„ჩვენ გარკვეული ურთიერთობები გვექნება ირანთან. მე მჭონდა ეს ურთიერთობა ბოლო ოთხი დღის განმავლობაში. ისინი დათანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტას და ეს ძალიან თანასწორი შეთანხმება იყო. ორივემ თქვა – საკმარისია. ურანის გამამდიდრებელი ყველაზე ბოლოა, რაც ახლა მათ შეიძლება სურდეთ“.

აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, ირანი ასევე ვერ შეძლებდა ურანის მარაგების გატანას, რადგან ეს საკმაოდ რთული და სახიფათო პროცესია, ამერიკამ კი სწრაფად იმოქმედა და წინასწარ გააფრთხილა ისინი, შესაბამისად, როდესაც დარტყმები განახორციელდა, იქ ყველაფერი განადგურდა. ავიადარტყმების შემდეგ ირანელებმა ტერიტორია დაათვალიერეს და განაცხადეს, რომ ის სრულიად განადგურებულია. დონალდ ტრამპი მიიჩნევს, რომ ათწლეულებით უკან დაიხია ირანის ბირთვული პროგრამა.

„ამ დარტყმამ დაასრულა ომი. არ მიწდა, პიროსიანსა და ნაგასაკის მაგალითი გამოვიყენო, მაგრამ სწორედ ამან განაპირობა ომის დასრულება. ეს რომ არ გაგვეკეთებინა, ახლა ჯერ კიდევ ბრძოლაში იქნებოდნენ“, – დასძინა ტრამპმა.



8
პატივგება
ქურნალისტ
ნანა
დონდაქისა!

**ექსპრეზიდენტ
სალომე ზურაბიშვილის
დაზარალება პარლამენტის
დროებით საგამოძიებო
კომისიისა თითქმის
გადაწყვეტილია.
მმართველი
გუნდის მხრიდან
პრეზიდენტობის
ვადის ამოწურვის
შემდეგ მისი ქვეყანაში
ქვეყნის წინააღმდეგ
მიმართულ
მავნებლობად
არის აღქმული.
მიუხედავად ამისა,
ზურაბიშვილის
კომისიისა
მისვლა ნაკლებად
მოსალოცნელია.
რაც კითხვებს აჩენს –
მოსდება თუ არა
ზურაბიშვილის
დაკავება დანარჩენი
პოლიტიკური
ლიდერების მსგავსად.
ოპოზიციის
პოლიტიკურ
დევნად აფასებს.
ხელისუფლება კი –
ანტისახელმწიფოებრივ
საშინაოობაზე
გამოძიების
აუხილავლობაზე
საუბრობს.**



საგამოძიებო კომისია ექსპრეზიდენტზე მიღის – ემუქრება თუ არა ზურაბიშვილს სიხე?

ნაქრდოვანი, გიორგი ბურჯანაძე, თინა ხიდაშელი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ წარმომადგენელი გიორგი თინიანი. ეს ადამიანები მაქსიმალურად იყვნენ კომუნიკაციაში სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან და ინდივიდუალურ პოლიტიკოსებთან. ეს დერეფნები ძირითადად ხდებოდა ვეროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დერეფნებში, თუმცა, რაც პოლიტიკური ჯგუფების შეკრებებზე მოხდა მათი მიწვევაც, სადაც მათ სრული დეზინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობა მიეცათ.

„ამასთან, მათი მხრიდან აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა და ეს დასტურდება იმითაც, რომ პოლიტიკოსების ნაწილი შეხვდა ვეროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტსა და ასამბლეის გენერალურ მდივანს, სადაც ისინი კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს, რომ საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება არ უნდა ყოფილიყო ცნობილი“, – განაცხადა მიქაძემ.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის შეფასებით კი ოპოზიციის ქმედებები ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას წარმოადგენს. მისი თქმით, საზოგადოება უკვე ხედავს რეალობას და სწორედ ამ მიზეზითაა ოპოზიცია არჩევნებში მუდმივად დამარცხებული.

ოპოზიცია კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ყველა ევროპულ გადამწყვეტილებაზე პასუხისმგებელია ხელისუფლება და არა ისინი. მათი შეფასებით, საგამოძიებო კომისია შექმნილია მხოლოდ პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის.

„ქართული ოცნების“ დეპუტატები ოპოზიციის ევროპულ მოკავშირეებსაც მოუწოდებენ, არ გახდნენ ამ პროცესების მონაწილეები და თავი შეიკავონ საქართველოს ინტერესების დამაინტერესებლად.

მაკა ბოჭორიშვილი სხდომაზე აღნიშნა, რომ რუსეთის აგრესიის პირობებში, როცა საჭირო იყო ერთიანობა, ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ დეზინფორმაციულ კამპანიას ეწეოდა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნისთვის სერიოზულ ზიანს იწვევდა.

საგამოძიებო კომისიის შუალედური ანგარიშით, რომელიც თეა წულუკიანი წარადგინა, საუბარია 2008 წლის ომის, კორუფციის, მიზნების რეკეტის და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე. როგორც კომისიის თავმჯდომარემ თქვა, საბოლოო დასკვნა „უძძიმე-სი“ იქნება.

დეპუტატებმა სხდომის ბოლოს მოთხოვნა განმარტებები იმ პირებზე, რომლებიც გამოძახებულნი არ ემორჩილებიან. მათ შორის შესაძლოა მოხდეს სალომე ზურაბიშვილიც. კომისიის ვადა პარლამენტმა ერთი თვით გაახანგრძლივა და დასკვნის წარდგენა 4 აგვისტოსთვისაა დაგეგმილი.

ზურაბიშვილი For.ge-თან ამბობს, რომ საგამოძიებო კომისია მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს – ის იკვლევს ყველა იმ საკითხს, რომელზეც მიაჩნია, რომ პასუხებია გასაცემი. შესაბამისად, სულერთი იქნება კომისიაზე 9 ოპოზიციონერი პოლიტიკოსის დაბარება მოხდება თუ ექვსპრეზიდენტზე ზურაბიშვილის. ამაში გასაკვირი და საგანგაშო არაფერია, კითხვებზე პასუხი ყველამ უნდა ვასცეს.

„ნახევრად ჩატარებული გამოძიების და ზედამხედველი“

შეფასებების საფუძველზე დასკვნის გამოტანა არც პოლიტიკურად და არც სამართლებრივად სწორი არაა. აქედან გამომდინარე, თუ კომისიის მიზნობრიობას ვადავითვისწინებთ, ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც არსებობს ეჭვები, თითქოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდა, უნდა გამოიკითხოს. ეს ადამიანები ეჭვმიტანილი არიან საბოტაჟსა და პროვოკაციებში ქვეყნის წინააღმდეგ.

პოლიტიკოსები, რომლებიც პირადი პოლიტიკური მიზნებისთვის ქვეყნის ინტერესებს აზიანებენ, ვალდებული არიან არა მხოლოდ საგამოძიებო კომისიის, არამედ საზოგადოების წინაშე გასცენ პასუხები ამ ქმედებებზე, – აცხადებს ქადაგიძე.

თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ ქმედებებში სალომე ზურაბიშვილიც ფიგურირებს, ისიც ვალდებულია მივიღოს კომისიაში და ვასცეს პასუხები. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, ვინ რას წარმოადგენს. ვხედავთ, რომ მათ დაკავებებზე ხალხის უარყოფითი რეაქცია პრაქტიკულად არ არსებობს და არც არავინ თვლის, რომ ისინი პოლიტიკურად დევნილები არიან. ისინი არ სცემენ პატივს არც კანონს, არც ქვეყანას და არც ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს. შესაბამისად, მიიღებენ კანონით განსაზღვრულ პასუხს. რეალურად, მათ მხოლოდ ერთი ბერკეტი დარჩათ – პარტიზანული წინააღმდეგობის მოწოდება, მაგრამ ესეც მალე ამოიწურება.

რაც შეეხება ზურაბიშვილის საგამოძიებო კომისიაზე დაბარებასა და შესაძლო უარის შემთხვევაში პასუხისმგებლობას, ქადაგიძის თქმით, არავის აქვს კანონის წინაშე იმუნიტეტი...

„ყველამ თანაბრად უნდა ავსოს პასუხი საკუთარ შეცდომებზე და იმ მანერებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიმართ ჩადინა. თუ ზურაბიშვილი დაბარებული იქნება და არ გამოცხადდება, მასზე იგივე საბოტაჟური პასუხისმგებლობა გავრცელდება, რაც დანარჩენ ოპოზიციონერ ლიდერებზე. ზურაბიშვილი არაფრით განსხვავდება სხვებისგან. თუ კანონი ერთია, ის ყველას ერთნაირად უნდა შეეხებოდეს. კანონი და საქართველოს კონსტიტუცია არც სახელს და არც გვარს არ ითვალისწინებს. არც თანადობაზე ქმნის პრივილეგიას – ექვსპრეზიდენტი იქნება ეს თუ ექვსპრემიერი. როცა კანონის მიხედვით ვალდებული ხარ პასუხი გასცე, პირიქით – შენს ინტერესზე უნდა იყოს, რომ კანონი არ დაარღვიო“, – აცხადებს ზურაბიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ქართულთა გამრავლება ხელისუფლების და დედაქალაქის უმთავრესი საზრუნავია!

**აღწარის
წინასწარი
მონაცემებით,
2024 წლის
14 ნოემბრის
მდგომარეობით,
საქართველოს
მოსახლეობის
რიცხოვნობა
3 914 ათასი
კაცი შეადგინა**

წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3 914 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 2 078 ათასი (53 პროცენტი) ქალია, ხოლო 1 836 ათასი (47 პროცენტი) – კაცი, – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი შედეგებით ნათქვამია.


საქსტატის ცნობით, ქალების წილი შედარებით მაღალია თბილისის (56 პროცენტი) და ქუთაისის (55 პროცენტი), ხოლო შედარებით დაბალი – მცხეთის (49 პროცენტი), ხარაგაულისა (49 პროცენტი) და საგარეჯოს (49 პროცენტი) მუნიციპალიტეტებში.

საქართველოს 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა. აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია, თუკიარებული ტერიტორიების გარდა. საერთაშორისო მეთოდოლოგიის მიხედვით, აღწერას დაეჭვებდებარა ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს ყველა მოქალაქე, ასევე ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 2024 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, 2 423 ათასი კაცი (62 პროცენტი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში, ხოლო 1 491 ათასი კაცი (38 პროცენტი) – სოფლადა.

რეგიონების მიხედვით, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წილი, თბილისის გარდა, მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (66 პროცენტი), რაც განპირობებულია მათთვის მოსახლეობის მაღალი რიცხოვნობით, ხოლო შედარებით დაბალია მცხეთა-მთიანეთის (20 პროცენტი), კახეთის (21 პროცენტი), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (24 პროცენტი) რეგიონებში. 2024 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, თბილისში ცხოვრობს მოსახლეობის 34 პროცენტი. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მეორე და მესამე ადგილს იკავებენ იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, რომლებზეც მოდის, შესაბამისად, მოსახლეობის 12.9 და 11.2 პროცენტი.



ქართველები
საყოველთაო
ეროვნული
იდიოტიზმისგან
გამოვინჯებულნი
ხალხია!!!

ლამა ბულაბაძე



ლიბერალური ვირთხები მსუყვე ყველის ნაჭრის მოლოდინში,



ანუ თავაკის „ლიბერტადან“ საქართველოს იდეოლოგიურ ინტერვენსიამდე



ბელადმა სიონისტების და ფაშისტების მიზნე-
ბი, რომელიც მსოფლიო პატონობას და მსოფ-
ლიოს დამონებას ითვალისწინებდა, მრავალი
წლით დაამტკიცა და დაამუხრუჭა საბჭოთა
იმპერიის გაძლიერებით. მაგრამ საბჭოთა იმ-
პერია ისე დაეშალა, როგორც მეფე იმპერია
და... მოხდა ისე, რომ მეფე პოსტსაბჭოთა ქვე-
ყანაში, ასე ვთქვათ, თოფის გასროლის გარეშე
დაიწყო ადამიანების არა მხოლოდ გვაგმობე,
არამედ მათ სულელებზე ნადირობა.

უკრაინაში 2014 წელს ჩატარებული გრან-
დიოზული გვი-პარადი, ეკლესიების ნგრევა
და ტაძრების საკურთხეველში ჩატარებული
უხამსი სპექტაკლები და წარმოდგენები უკ-
რაინის გალიმინასტიკის და დაღუპვის დი-
დი ტრაგედიის დასაწყისი იყო და ეს ტრაგედია
დღემდე გრძელდება.

დღევანდელ მსოფლიოში ლიბერალიზმი
წარმოდგენილია, როგორც ადამიანის უფლე-
მების, თავისუფლებისა და ტოლერანტობის
იდეა. ეს იდეა ხშირად იქცევა ხოლმე იდე-
ოლოგიურ ინსტრუმენტად.

ლიბერალიზმი დღეს არ არის მხოლოდ
უწყინარი იდეოლოგია — ეს არის ბრძოლა
ტრადიციების, ღირებულებების წინააღმდეგ,
კონკრეტულად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

**სხალი ტიპის ლიბერალიზმს
სურთ დაარსდონ ნენსიზმი, რაც
სახელმწიფოების, სახელმწიფო-
ებრივი იდეოლოგიის, თვით ადა-
მინების ფსიქიკასა და ცხოვრე-
ბის არსს წარმოადგენდა წლე-
ბის განაგებლობაში. ეს არის პირ-
დაპირი რამ არა მხოლოდ ტე-
რორიზმის დასაუფლებლად,
არამედ რამ იდეოლოგიებს და
ადამიანურ პრინციპებს შორის.**

**ამ რამის ერთ-ერთი ნაწილია
თავაკის „LIBERTÉ“, გურჯალა-
ქის ე.წ. შემოქმედება, გულაკის
ლიტერატურული ჯინთვაში,
ხაბარაძის მიერ დაფინანსე-
ბული ლიტერატურული კონ-
კურსები, ლგმ ხასიათის
მხატვრული ფილმები და
სხვა მსგავსი აქტივობები.**

...დათა თავაკმა „ლიბერტადან“
რომ დადგა საერთო უმის თე-
ატრში, ქართველი საზოგადო-
ება და ეკლესია აღმოფხვრა
საქართველოში გამოხატული უდ-
მერთობისა და უხამსობის დე-
მონსტრაციების გამო.

აღმოჩნდა, რომ დათა თავაკმა „თავისუფ-
ლების“ („Liberte“) პრემიერა ჯერ კიდევ 2024
წლის ოქტომბერში გაუმართავს და რადგან ერთ
მცდელობაზე ვერ მოახდინა „კულტურული
აფეთქება და მოკი“, თავაკმა მეორედ უცდია.

სცადა და, მეორედ, გარკვეულწილად, გა-
მოვიდა — სპექტაკლი ორიოდ კვირით ერთ-
ერთი აქტუალური სალაპარაკო თემა და გან-
სჯის საგანი გახდა, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ
ერთი ლაპარაკის ქაღალდი აღმოჩნდა, რომ-
ელმაც თვალნათლივ წარმოაჩინა ქართველ
საზოგადოებაში არსებული ღრმა იდეოლო-
გიური და მენტალური განხეთქილების სურათი.

**ჩვენ თანამედროვეობის
ერთ ნაწილს მოსწონს თავაკის
და მისწინების აღვირახნილი
„თავისუფლება“ — ესაა ვეროპ-
ული დინამიკები და არა რე-
სულ ორგანიზაცია თვალახვეული
ტრიალით, ამოგონი.**

**ორგანიზაცია ტრიალი არ ვიცი,
მაგრამ საქართველო „ლიბერტადან“
თავაკმა რომ მთელ თბილისს
და საქართველოს უტრიალა
თვალნინ გააკაცის მომხრე-
ბული უკანალი, ეს არც ვერო-
პულ, არც არანაირ ადამიანურ
სტანდარტებში არ ჯდება და უფ-
რო გოთკარკის გაგზავნული
აიბუნის მოქმედებას ჰგავს.**

ხელოვნების და კულტურის დანიშნულება
რომ დიდია საზოგადოების ცხოვრებაში, ამაზე
ლაპარაკი ზედმეტია, არც ისაა საკამათო თემა,
რომ თეატრი, კინო, მწერლობა, მხატვრო-
ბა ერს და საზოგადოებას სულიერად ზრდიან
და აყალიბებენ. რეჟისორ თავაკის კი სხვა
ინტერესები აქვს, მას ტრ...ნამოხდელი მამა-
კაცების და დედაკაცების ჩვენებით, სცენიდან
მსახიობების ბილნსიტყვაობით უნდა მოიპო-
ვოს პური არსობისა. „დიდი“ რეჟისორი ამ მიზ-
ნით თითქოსდა საზოგადოების წერტილის ახალ
მეთოდს მიმართავს — დღისით ქართულ ტრა-
დიციებს, დედას, ოჯახის ღირსებას, სარწმე-
ნობას უგინებს მთელ ქვეყანას უდღეური მსა-
ხიობის უკანალის ქანქარით, საღამოს, კი, დი-

დი ეჭვი მაქვს, რომ საკუთარ უკანალს აქი-
რავებს.

რა ქნას თავაკმა — რეჟისორად ეგ არ ვარ-
გა, ვაშლი და ბანანი მას არ აქვს, რომ გაყი-
დოს და რაც აქვს, იმას დებს დახლზე — სა-
კუთარ და დაქირავებული ჯამბაზების ტრ...კებს.

თუმცა თავაკმა არ ყოფილა „ლიბერალური
გაზაფხულის მომყვანი“ პირველი „მერცხალი“.
მანამდე იყო სხვა თანამედროვე კულტურული
„აფეთქებები“, რომელსაც ხელს ახლა უკვე პა-
ტიმარი მამუკა ხაზარაძე უწყობდა აქტიურად და
თავის ლიტერატურულ კონკურსში „საბა“ გან-
საკუთრებით თამამ და ვითომდა თანამედრო-
ვე, პროგრესული მწერლების ლიბერალური
იდეოლოგიით გაუფლანკო ნაწარმოებებს და
თავად ავტორებს გულუხვად აჯილდოებდა მუშ-
ხუნების და მქუხარე ტაშის თანხლებით.

თავაკმა და მათნაირებზე უფრო ხარბ ხა-
ზარაძეს მართალია, საზოგადოებისთვის უკა-
ნალი პირდაპირ არ უჩვენებია, მაგრამ სხვისი
ხელით აკეთებდა ამას მის მიერ დაარსებულ
„საბას“ კონკურსში, რომელსაც ლიტერატუ-
რული კი ვერქვა, მაგრამ ხშირად პორნოგრა-
ფიულისკენ უფრო იხრებოდა.



ამ კონკურსში თუ პორნოდემონსტრაცი-
აში გამარჯვებულ, ვინმე მწერალ ზაზა ბურ-
ჭულაძეს რომანი „ადიზასის“ მთავარი იდეად
2008 წლის აგვისტოს ომი მიუჩნევია, თუმცა
ომით განადგურებულ ძირძველ ქართულ ტე-
რიტორიებზე და ამ მინის მკვიდრ, ომში და-
ღუპულ ადამიანებზე მეტად აქტუალურ ნაწარ-
მოებში ამორალური სექსი და მორალური
კრიტიკის უმეტესი განადგურებაა.

**ეს „მწერალი“, ლიბერალი
კრიტიკოსების მიერ „აგრიტი-
ბული გენიტალიზმის ხოტბის-
შემსახველ მწერალად“ (შეფასე-
ბა გალხაზ ხარაბიას ეპითეზის
— ავტ.) რომაა აღიარებული,
ქართველ საზოგადოებაში კი-
დეც იმითაა ცნობილი, რომ ნა-
ტურალურად აღწერს თავის „ნა-
წარმოებში“, როგორ იღვწავო-
და საპირფარეოში უნიტარეა
გზადი დედის წარმოდგენისა.**

ლიტერატურის ზოგიერთმა კრიტიკოს-
მა, რომელთაც, დროის ქარი გაბუანგერა-
სავით გაფანტავს, ბურჭულაძის შემოქმედება
ზედროულად მიჩნეის და იგი იმ მწერალთა
კატეგორიას მიაკუთვნებს, რომლებიც დროს
უსწრებენ. მაგალითად, ლევან ბერძენიშვი-
ლი ამბობდა: „ზაზა ბურჭულაძე არ ენდო-
ბა ადამიანს მკითხველს. ამიტომ მან უნდა და-
უღეტოს, დიდი პირი დააღვინოს და ჩაუ-
ტენოს ლუკმაო.“

ლიბერალურ წრეებში კარგად ცნობილი,
ენ ქვიარ-აქტივისტი, ვინმე გოჩა ვაბოძე კი
„ბრძანებდა“: „არსებობენ მწერლები, რომლებ-
მაც დროს უსწრებენ და მათი არ ესმით. ჩათ-
ვალეთ, რომ ზაზა ბურჭულაძეც ის მწერალია,
რომელიც მომავლის განზომილებებში უნდა აღ-
ვიქვითოთ“; ამის გამო ამოზოქრებული, „საბას“
ორდენოსანი, მასზე მაგარი „მწერალი“ ლა-
შა ბულაძე პირზე დუშმომდგარი მოსთქვამს:
„ჩემი ქართველები მეც მეზობლებიან, კითხვა
არ იცინათ“. სხვაგან ქართველებს იგი მოიხ-
სენიებს, როგორც „საყოველთაო ეროვნული
იდიოტიზმისგან გამოლენჩებულ ხალხს“.

გამოლენჩებულები ვინც არიან, ვხედავთ,
სამწუხაროდ, მაგრამ ლაშა ბულაძე ოპოზი-
ციური ტელევიზიების ეკრანებზე რომ წამოს-
კუპდება, ყველანაირად უნდა, რომ საპირის-
პირო დავიშტკიცოს. ამ ბულაძემ, გარკვეუ-
ლი ხნის წინ, მისი „მაღალი“ ყურადღება რა-
ტომლაც სტალინის დაუთმო და დაწერა კიდევ
წიგნი „საქართველო სტალინის წინააღმდეგ“,
სადაც, მისი ჭკუით, მიწასთან არის გასწორე-
ბული იოსებ სტალინი.

თუმცა, შემთხვევით არ დაუწერია ბულა-
ძის სტალინზე!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტალინი
ებრძოდა ფაშიზმს და სიონისტურ მოძრაობებს.



თავაძეები და მათნაირები მიზნისმეორეები არ არიან, ამათ პოპულარობა და „პატარა“ ჯიბის ფული აინტერესებთ, აი, ხაზარაძე კი მიზნისმეორეა, რაც მეტ ფულს მოიხვეჭს, მით უკეთესი. მანაც იყის, რომ ძლიერია ეროვნული კულტურის განადგურებისკენ მიმართული ფინანსური წყაროები – კერძო და საერთაშორისო გრანტები, რომელთა მიზანია, საზოგადოების სულიერი დათრგუნვა, საზოგადოების ამოღობის მიზნის დონეზე დაყვანა, როცა ნადგურდება მრავალსაუკუნოვანი კულტურა და მისი ღირებულებები, მაგრამ მერე რა, ფული ხომ „ნამოვა“?!

ამიტომაც, ქართული ხელოვნების დეგრადაცია ზოგიერთ თეატრში, ლიტერატურასა და კინოში არ არის მხოლოდ შემოქმედებითი კრიზისის შედეგი. ის იკვებება უფრო ღრმა და საიდუმლო პროცესებიდან, რომელსაც ტრამპისეულად „დიფ სთეითი“ ჰქვია!

დღეს საქართველოში მოქმედი თეატრალური თუ ლიტერატურული პროექტების დიდი ნაწილი ფინანსდება დასავლური საელჩოების გრანტებით, ევროკავშირის კულტურული ფონდებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების სტრუქტურებიდან.

საინტერესოა, რომ დამფინანსებელი ფონდები არ ითხოვენ ტექნიკურ ან მსოფლმხედველობრივ სრულყოფას. ისინი პირდაპირ განსაზღვრავენ მიზანსა და პრიორიტეტებს. მაგალითად, აუცილებელია სექსუალობის, ლგბტ თემატიკის, რელიგიური სინამდვილის დაკნინების მცდელობა, რაც მი-



მართულია ეროვნული იდენტობის წაშლისკენ, როგორც ბნელი გადმონაშთისკენ, რათა ადამიანმა დაკარგოს კულტურული საყრდენი, როგორც ერთგვარი სულიერი იმუნიტეტი, რადგან ღრმა სულიერი მემკვიდრეობით ჯანსაღად აღზრდილი თაობები რთული სამართავია.

როგორც ვხედავთ, დამთავრების „თავისუფლება“, გაზაგურაჟის „ადიგასი“, ლაგაგურაჟის პრომოკაციული „რომანოვი“, დოიაშვილის „ვენედი“ და მსგავსი კულტურული „მიღწევები“ არ არის მხოლოდ ვიწროგანიანი განცდების ნაყოფი. ეს ე.წ. ხელოვნებები ამ სისტემაში მხოლოდ ვარიანტებს წარმოადგენენ. თავმოყრდნულ რომ ყოფიყავით, ისინი, სინამდვილეში, ლიბერალიზმის საცდელი ლაგორატორიის ვირთხები არიან, რომლებიც სათაგურთან დგანან მსუყე ყვალის მოლოდინში.

ასეთი ადამიანები, გარკვეული საფასურის გამო, ხელს უწყობენ მრავალსაუკუნოვანი და უძველესი ქართული სულიერი მონაპოვრის, ქართული კულტურის დაკნინებას, რათა შეგვაგონონ აზრს, თითქოს დიდი არაფერია ქართული კულტურა და იდენტობა, არაფერია ჩვენი დედაკულტურა, რომ შემდეგმა თაობებმა ბურჯი შეაქციონ წარსულს, როგორც საძირკველს, ხოლო, თუ ვინ დაკარგავს კულტურულ ფესვებს, ის გახდება მანანწალათა უიდლო ბრბო, რომელიც, მხოლოდ ბიოლო-

გიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით იქნება დაკავებული.

შესაბამისი წყაროებიდან შევიტყვე, რომ დასავლური ინსტიტუტები (E.U., UNDP) აფინანსებენ პროექტებს, რომელთა ნიშნავაში აღწერილია კონკრეტული პროექტები. დაფინანსებაში დონორები ითხოვენ, რომ გრანტის მაქსიმალური ხელშეწყობა უნდა დაემორჩილოს კონკრეტულ განვლილ შესაბამის ინსტრუქციებს.

საქართველოში, სადაც ე.წ. დასავლური ღირებულებების დამკვიდრება წლების განმავლობაში მიზანმიმართულად მიმდინარეობს, მძლავრად მოიკიდეს ფეხი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჩვენ NGO-ებს რომ ვეძახით.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ თურმე დიდი ოდენობით ფინანსურ მხარდაჭერას ახორციელებს ანტიკულტურულ ღონისძიებებზე, ლიტერატურაზე, ლგბტ თემატიკაზე, სამოქალაქო აქტივობებზე, ანუ მიმდინარე „რევოლუციური“ აქციებზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია NED (National Endowment for Democracy – დემოკრატიის ეროვნული ფონდი) პასუხისმგებელია ლიბერალური დემოკრატიის გადრეკილვებზე განათლების, ხელოვნების და კულტურული ორგანიზაციების მეშვეობით. მათი დაფინანსებით არაერთი პერფორმანსი, ნანარმოები და დოკუმენტური ფილმი შეიქმნა.

ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში აფინანსებს გრანტებს მოდერნიზებულ ხელოვნებაზე, სექსუალური და გენდერული თემატიკის ხელშეწყობაზე და ა.შ.

საპარო წყნარების მონაცემებით, საქართველოში აშშ-ს დასავლური ორგანიზაციების რეგისტრირებულია 30 000-33 000 არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. მათ შორის არიან: ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, სამოქალაქო ინიციატივები, განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დახმარების და სხვა სფეროების არასამთავრობო ორგანიზაციები.

ძალადობა, რომელიც დღეს ლიბერალიზმის სახელით მიმდინარეობს საქართველოში, სხვადასხვა ორგანიზაციების ხელით ახორციელდება ქართველი ხალხის ქარცხას წარსულისგან და ფასეული ღირებულებებისგან. ეს არის ჩვეულებრივი ექსპანსია, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიის სახელით დაგვიდრეკილი კულტურული კოლონიზაცია, რომლის ნინა-ადრეგ დღეს ჩვენთან მიმდინარეობს, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი კულტურული კონფლიქტი, ერთგვარი ფარული ომი.

ამ ომის მთავარსარდლებს საქართველოში ხაზარაძე-დოიაშვილ-თავაძეებს და მათ მსგავსი ქართველების დამცირების ხარჯზე ჯიბე და შუბლისძარცვასძალადობას, ე.წ. მედასავლეთეებს აქაურობის დაქვემდებარება უნდათ, რომ ხელი მოითხოვონ, მაგრამ თანდათან სრულდება მათი პარკაში – დალატი დაუსჯელი არასდროს რჩება!

ირანდა კალანდაძე



ქართული ხელოვნების დებრადაცია ზოგიერთ თეატრში, ლიტერატურასა და კინოში არ არის მხოლოდ შემოქმედებითი კრიზისის შედეგი. ის იკვებება უფრო ღრმა და საიდუმლო პროცესებიდან, რომელსაც ტრამპისეულად „დიფ სთეითი“ ჰქვია!

ვიხილ ყავლაშვილი: ჯარის ბანაკში თავისი დანიშნულება უნდა გააგებოთ!



ჩვენი ჯარი ჩვენი პატარა, მამაცი ერის უდიდესი ისტორიის ნაწილია

დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენს სამხედრო ფორმაში, ამავე დიდი სიამაყე არ არსებობს. ჩვენი ჯარი ჩვენი პატარა, მამაცი ერის უდიდესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყავლაშვილმა ჯარის ბანაკის ვახსნაზე განაცხადა.

„მინდა, მაღლობა გადავუხადო თავდაცვისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს, ვინც ამ პროექტს, უკვე მესამე წელია, წარმატებით ახორციელებს. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, რომ გავცნოთ ქართული ჯარის ცხოვრების წესს. მინდა, მოგილოცოთ დღევანდელი დღე-ღარწმუნებული ვარ, ეს დღეები გაყვებამთ მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს ემოციები, შთაბეჭდილებები, ენერჯია, რასაც აქ დახარჯავთ, იქნება სამაგალითო. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ჯარი ჩვენი პატარა ქვეყნის, მამაცი ერის უდიდესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩვენმა ჯარისკაცებმა, წინაპრებმა, გმირებმა გაიღეს მთავარი – სიცოცხლე, იმისთვის, რომ დღეს ჩვენ ვყოფილიყავით დამოუკიდებელი, თავისუფალი და ძლიერი ქვეყანა. ეს პროცესი გრძელდება და ჩვენი ჯარიც, ქვეყანაც ძლიერდება. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში უფრო მეტად გავძლიერდებით“, – მიმართა ყავლაშვილმა ღონისძიების მონაწილეებს.



მიხეილ ყავლაშვილის თქმით, ჯარის ბანაკის ვახსნასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ სკოლებშიც დაინერგოს სამხედრო სწავლებლა.

„გარდა იმისა, რომ ეს ბანაკი უმნიშვნელოვანესი პროექტია, ასევე დაწყებული გვაქვს სკოლებში სამხედრო სწავლების შეტანა და ესევე წარმატებით მიმდინარეობს. წლიდან წლამდე გაიზარდება რაოდენობა. მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო სწავლება იყოს სავალდებულო. ჩვენი მიზანია, ეს მიმართულება გახდეს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის ძალიან ახლომდებელი. ყველას ჰქონდეს ელემენტარული, ზოგადი ცოდნა მარცხ, რას ნიშნავს თავდაცვისუნარიანობა, ქართული ჯარი და ის, თუ რას უნდა წარმოადგინო, შთაბეჭდილებები, ენერჯია, რასაც აქ დახარჯავთ, იქნება სამაგალითო. უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ჯარი ჩვენი პატარა ქვეყნის, მამაცი ერის უდიდესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩვენმა ჯარისკაცებმა, წინაპრებმა, გმირებმა გაიღეს მთავარი – სიცოცხლე, იმისთვის, რომ დღეს ჩვენ ვყოფილიყავით დამოუკიდებელი, თავისუფალი და ძლიერი ქვეყანა. ეს პროცესი გრძელდება და ჩვენი ჯარიც, ქვეყანაც ძლიერდება. დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში უფრო მეტად გავძლიერდებით“, – მიმართა ყავლაშვილმა ღონისძიების მონაწილეებს.

გენდერული მათი როლი საქართველოს თავდაცვაში. მე მჯერა ქართველი ადამიანის, ახალგაზრდების“, – დასძინა პრეზიდენტმა.

ჯარის ბანაკის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტი-მინისტრი ირაკლი კობახიძე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი ალექსანდრე წულაძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანი.

მათი გამოსვლების დედააზრი ასეთი იყო: ჯარის ბანაკში ჩვენი ახალგაზრდობა ქვეყნის ერთგულ დამცველებად, ნამდვილ კროფსიონალურად უნდა აღზარდოს!





საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საკპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

ადგილნარმოშობის დასახელება

საზანოს ოცხანური

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საკპატენტი“ „საქონლის ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის (1999 წლის 22 ივნისი. N2108-III რედაქცია) შესაბამისად, აქვეყნებს შპს „იმერული ღვინის ასოციაციის“ მიერ საქართველოში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქართველოში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები აისახება ადგილნარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეგისტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქართველოში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

განაცხადის N3574/6

განაცხადის შეტანის თარიღი: 22/10/2024

ადგილნარმოშობის დასახელება: საზანოს ოცხანური

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილნარმოშობის დასახელების რეგისტრაცია - ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: შპს „იმერული ღვინის ასოციაცია“ მუხიანი მე-4ა მკრ., მე-14 კორპ., ბ. N43 თბილისი, საქართველო

1. დასახელება: „საზანოს ოცხანური“

2. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

„საზანოს ოცხანური“ წითელი მშრალი ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი - მუქი წითელი;
არომატი და გემო - გემოზე სავსე, ხავერდოვანი, კენკრის (მაყვალა და შავი მოცხარი) ტონები. დავარგებისას უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტის სანელებლების (პილპილი, მიხაკი) და მშრალი ხილის (შავი ქლიავი) ტონებით.
ფაქტობრივი მოცულობითი სპირტმემცველობა არ უნდა იყოს 11 %-ზე ნაკლები, ხოლო მაქსიმალური სპირტმემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს;
შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 4 გ/ლ-ზე ნაკლები;
აქროლადი მჟავიანობა ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 1.2 გ/ლ-ს;
გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 მგ/ლ-ს;
უშაქრო ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები.

3. ნარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები

საზანოს მიკროზონა მოიცავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ზედა საზანოს, სკანდეს, მუჭირეთს, ჩიხორს, დელტას უბანს, შიმშილაქედს და ასევე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფლებს: ქვედა საზანოს, ტყლაპივაკეს და შიმშილაქედს. მიკროზონა მდებარეობს ზღვის დონიდან 120-420 მეტრის სიმაღლეზე.

4. ვაზის ჯიშები

ღვინო „საზანოს ოცხანური“ შეიძლება დამზადდეს მხოლოდ საზანოს მიკროზონაში მოხეული ოცხანური საფერის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება, თუმცა დასაშვებია მხოლოდ ამავე მიკროზონაში მოხეული 5% საფერავის დამატება.

5. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- საზანოს მიკროზონაში ღვინო „საზანოს ოცხანურისათვის“ განკუთვნილი სამეურნეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 120-420 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.
ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 3 მეტრამდე;
ვაზთაშორის მანძილი რიგში - 0,8-1,5 მეტრი;
შტამპის სიმაღლე - 60-90 სმ;
სხვლის ფორმა - ცალმხრივი, ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

6. ყურძნის სიმწიფე, როველი, ტრანსპორტირება

- „საზანოს ოცხანური“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შექვნიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 20 %-ზე ნაკლები.
ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, ტარპებით, უჟანგავი ფოლადის, პლასტმასის, ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით.
დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება.

- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაზიანებებისაგან.

7. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 8 ტონას ოცხანური საფერისათვის.

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს - ერთი ტონა ყურძნიდან;
5200 ლიტრს - ერთი ჰა ოცხანური საფერის ჯიშის ვენახიდან.

8. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

საზანოს ოცხანურის წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მონეული უნდა იყოს მხოლოდ საზანოს მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ბოთლებში ჩამოსხმა დასაშვებია მხოლოდ საზანოს მიკროზონის ფარგლებში.

საზანოს ოცხანური მზადდება ღერდოს სრული ალკოჰოლური დუდილის გზით ქვევრში (ჭურში) ან უჟანგავ ფოლადის რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

საზანოს ოცხანურის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის N524 დადგენილებით დაბტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“).

საზანოს ოცხანურის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის N524 დადგენილებით დაბტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“).

9. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი - კლიმატი ზომიერად ნოტიოა - ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით, მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა აღემატება 1800 საათს, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში 1298 საათს აღწევს.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 15.4°C.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს 4353.9°C-ს.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი უდრის 1360.2 მმ-ს, აქედან, სავეგეტაციო პერიოდში - 698.8 მმ-ს. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა შეადგენს 71.1%-ს, ხოლო იგივე მაჩვენებელი სავეგეტაციო პერიოდისთვის 72%-ს.

ნიადაგები. მიკროზონა მდებარეობს იმერეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში და მოიცავს მდინარეების - ტყის, სმორდოლის, ჩხარის, მუჭას და ჩოლაბურის ხეობებს. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ვაკე რელიეფით ხასიათდება. მიკროზონის ნიადაგები ძირითადად წარმოდგენილია ალუვიური კარბონატული ნიადაგებით. მიკროზონის ჩრდილო ნაწილში გვხვდება, აგრეთვე, ყვითელმინა ნიადაგებიც. მექანიკური შედგენილობით ნიადაგი თიხნარი და მძიმე თიხნარია. ზოგიერთ მონაკვეთზე ახასიათებს ხირხატიანობა. ნიადაგები ხასიათდება ღრმა სისქის პროფილით და პროფილის სისქე მერყეობს 1-1.5 მ ფარგლებში, ხოლო აქტიური ჰუმუსიანი ფენა 50-70 სმ-ია.

მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, ალუვიური ნიადაგები შეფერილობით მოყვითალო მორუხა ზედა ფენებში, ქვევით კი უფრო მეტად მორუხო შეფერილობაში გადადის; სტრუქტურით კომპოვან გორბოვანი და კომპოვან მარცვლოვანია. სიღრმის ფენებში კი სუსტადაა გამოხატული.

ნიადაგის არეს რეაქცია ნეიტრალური და სუსტი ტუტეა - pH-ის მაჩვენებელი 5,8-7,6-ის ფარგლებშია.

აღამიანური ფაქტორი - მევენახეობა-მეღვინეობა იმერეთში უხსოვარი დროიდან არსებობს და ყოველთვის შეადგენდა ხალხის სამეურნეო საქმიანობის უმთავრეს დარგს.

იმერეთში მევენახეობის განვითარებას, მიუხედავად რიგი დაბრკოლებებისა, შედარებით ფართო პერსპექტივები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიეცა. 1873 წელს ვენახების ფართობები იმერეთში შეადგენდა 19 377 ჰა-ს და თანმიმდევრულად იზრდებოდა. მათმა ფართობმა 1875 წელს უკვე შეადგინა 21 370 ჰა, ხოლო 1895 წლისთვის - 23 585 ჰა.

საქართველოს ამპელოგრაფიაში წერია, რომ: ოცხანური საფერე საკმაოდ გავრცელებული იმერული ვაზის ჯიშია და ჯერ კიდევ 1940 წლის ვენახების მთლიანი აღწერილობის მიხედვით, ოცხანურ საფერეს სულ 91, ხოლო 1953 წლის აღწერით 112 ჰექტარი ფართობი ეკავა მთელს იმერეთში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთი ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მევენახეობის რაიონად. ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობის სიმდიდრით და ვენახების ფართობით მას პირველი ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოში. იმერეთის მრავალ რაიონში მევენახეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენს. იმერეთის ღვინოები, რომლებიც მზადდება მთის ფერდობებზე და დაქანებებზე გაშენებული ვაზების ყურძნიდან, გამოირჩევიან მაღალი ხარისხით. ეს ღვინოები, ძირითადად, ზომიერი სიმკვრივისა, ხასიათდება სინაზით, სისრულით, თავისებური არომატით ახალგაზრდობაში და კარგად განვითარებული ბუკეტით სიძველეში. იმერეთის ღვინის ნიმუშები, რომლებიც წარდგენილი იყო ვ. ტიემოს მიერ 1887 წ. პარიზში მსოფლიო გამოფენაზე, შეფასდა, როგორც საუკეთესო სუფრის ღვინო და ოქროს მედალი მიაკუთვნეს. ეს ღვინოები, აგრეთვე, მონონელები და დაჯილდოებულია 1889-1890 წწ. პარიზში, ბორდოში, ედინბურგში, თბილისსა და სხვა ქალაქებში (ვ. ტიემო).¹

1. საქართველოს ამპელოგრაფია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960წ., გვ. 33

იმერული წითელი ყურძნის ჯიშებიდან განსაკუთრებით გამოჩენილია ოცხანური საფერე. ოცხანური საფერე წარმოშობით კულტურული ვაზის ჯიშების ფორმა-თა წარმოქმნის კოლხეთის კერას მიეკუთვნება და თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით *prol pontic, sub prol. georgica* Negr.-ის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფში შედის. ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, ჯიშის გარდამავალი კულტურულ და გარეულ ჯიშებს შორის. მისი სქლად შემუსვილი, ღრმად დანაკვეთილი სვესმაგვარი ფორმის ფოთლები, პატარა ყვავილი, მტკრიანების სიგრძის მეტად მერყევი შეფარდება ბუტკოს სიმალღესთან (1-დან 2-მდე) და ჯიშისათვის დამახასიათებელი პატარა მკვრივი მტევნები, წვრილი, მრგვალი, არათანაბარი ზომის მარცვლები და მათი წვრილმარცვლიანობა (მნიშვნელოვან მარცვლებში მწვანე განუვითარებელი მარცვლების არსებობა) ადასტურებს ჯიშის დიდ ხნოვანებას და მის ახლო წარსულში კულტურაში შემოტანას ველური ბუნებიდან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოცხანური საფერე ჩვეულებრივ დაბალტანიან ვენახად არ ხარობს, ასეთ პირობებში იგი მცირე მოსავალს იძლევა, ამიტომ იგი მისთვის უფრო შესაფერ ნახევრად მაღლარი ფორმით, ე.წ. ოლიხნარის წესით გამოყავთ, რომლის დროს ჯიშის კარგად ვითარდება და უხვ მოსავალს იძლევა. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების შედარებითი შეფასებით ოცხანური საფერე უძველეს ვაზის ჯიშად გვევლინება. ამის გამო ვფიქრობთ, რომ იგი კულტურულ პირობებში ძალიან დიდი ხნის წინათ შემოტანილი არ უნდა იყოს, რადგან მრავალსაუკუნოვანი კულტურის (მოვლა-პატრონობის) გავლენა ჯიშზე მკაფიოდ არ ჩანს და იგი თავის პირველად მდგომარეობასთან შედარებით დიდად შეცვლილი და გაუმჯობესებული არ არის. ოცხანური საფერის შაქრიანობა-მუყავიანობა რთველის დროს 1939-1950 წლებში შემოწმებული საზანოში და დადასტურდა, რომ მისი შაქრიანობა მერყეობს 19.6-დან 23.3%-მდე, ხოლო მუყავიანობა 7.7-10.4-ს შორის. ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ ოცხანური საფერე სუფრის ღვინისთვის საკმაო რაოდენობით აგროვებს შაქარს, მაგრამ შაქრიანობა-მუყავიანობის ყველაზე უკეთეს შეფარდებებს იგი იმერეთში იძლევა.² გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ საუკეთესო პირობებში ოცხანურ საფერეს შაქრიანობის დაგროვება 23-24%-მდე შეუძლია.³ ამჟამად ეს ჯიშის სამრეწველო თვალსაზრისით მხოლოდ იმერეთშია გავრცელებული. ბოლო წლებში ამ რეგიონში მაღალი ხარისხის ოცხანური საფერეს, როგორც ყურძნის სამწარმოო ჯიშის მნიშვნელობა განაპირობა გლობალური დათბობასთან დაკავშირებულმა ამ ვაზის ჯიშის ვერტიკალური ზონალურობის ანევაზე, რამაც შესაძლებელი გახადა მთელი იმერეთში მაღალი შაქრიანობისა და მუყავიანობის მქონე ყურძნის მოწევა და მის საფუძველზე განსაკუთრებული ღირსებებით გამოჩენილი ღვინის წარმოება. ამ ღვინოზე იზრდება მოთხოვნილება როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე.

ოცხანური საფერე სიმწიფის საგვიანო პერიოდის სტანდარტულ საღვინე ჯიშებს მიეკუთვნება. იგი იმერულ წითელ ჯიშებს შორის მკვეთრად გამოირჩევა: ღვინის მაღალი ხარისხით, ინტენსიური შეფერვით, სისრულით, სინაზით, ჰარმონიული გემოთი და სიხალისით. ჯერ კიდევ 80 წლის წინ, პროფ. კ. მოღებაძე აღნიშნავდა ამ მარკის საძველეს ღვინოების საკმაო სიცოცხლისუნარიანობის შესახებ და მიუთითებდა დავარგების პერიოდში ღვინის გემური მახასიათებლების გაუმჯობესებაზე. როგორც მაღალხარისხოვანი ჯიშის, პერსპექტიულია შუა და ზემო იმერეთის რაიონებისთვის.⁴

ოცხანური საფერე გავრცელებული ვაზის ჯიშისა ზესტაფონსა და თერჯოლის რაიონებში. იმერეთის დანარჩენ რაიონებში მას უმნიშვნელო ფართობი უჭირავს. ვენახების 1940 წლის მთლიანი აღწერის მასალების მიხედვით, ოცხანურ საფერეს სულ 94, ხოლო 1953 წლის აღწერით 112 ჰექტარი ფართობი ეჭირა. ეს ფართობი ცალკეულ რაიონებს შორის არათანაბრადაა განაწილებული. ჯიშის შედარებით მცირე გავრცელება გამოწვეულია ნაგვიანევი მწიფობით და დაბლარად ფორმირების დროს მცირე მოსავლიანობით.

მევენახეობის კლასიკური ზონა მოიცავს მდინარეების ძირულას, ყვირილასა და რიონის ხეობებს. იმერეთში გავრცელებული სამრეწველო ვაზის ჯიშებიდან ერთ-ერთია ოცხანური საფერე, რომლისგანაც მზადდება უმაღლესი ხარისხის წითელი ღვინო.⁵

გიორგი აბაშიძის ავტორობით, ქვედა საზანოს ღვინის ქარხნის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამოცემულ წიგნში „ჩინჩხლები ჭიქაში“, საუბარია „ოცხანური საფერეს“ შესახებ. იმერეთში შემორჩენილი ყურძნის ჯიშებიდან, სოფელ ქვედა საზანოში გავრცელებულია ოცხანური საფერე და იგი ძლიერ საგვიანო პერიოდის სიმწიფის სუფრის ღვინის ჯიშია.⁶

საუკუნეების მანძილზე იმერეთში (და თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოში) არსებობდა თეთრი ღვინის წითლად შეფერვის ტრადიცია და ოცხანური საფერე თეთრი ფერის ღვინის წითლად შესაფერად (საფერად) გამოჩენილად საუკეთესოდ იყო მიჩნეული.

11. გარდამავალი დებულებები
ამ წარმოების სპეციფიკაციის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად, ყურძნის გადამამუშავება და ღვინის წარმოება დასაშვებია საზანოს მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, 2026 წლის დეკემბრამდე.

12. ეტიკეტების განსაკუთრებული წესები
დასახელება „საზანოს ოცხანური“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლატინური შრიფტით – **SAZANOS OTSKHANURI**
Protected Designation of Origin ან/და PDO
რუსული შრიფტით – **САЗАНОС ОЦХАНУРИ**
Защищённое наименование места происхождения

13. აღრიცხვა და შეტყობინება
წარმოების ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019


² ინტერნეტ გვერდი - <https://enoteca.ge/ge/variety/81-Otskhanuri-Safere>
³ 24 საათი, 2013 წლის 15 მარტი, „ცათამფრენიდან“ ჩამოვარდნილი ოცხანური საფერე, ლევან სეფისკვერაძე.
⁴ თამაზ კობაიძე, „ვაზის ქართული ჯიშების ცნობარი“, თბ. 2014წ, გვ. 85
⁵ შაია მირველაშვილი, დავით მაღრაძე, „ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში“, თბ. 2015წ. გვ. 72
⁶ გიორგი აბაშიძე, „ჩინჩხლები ჭიქაში“, ქვედა საზანოს ღვინის ქარხანა 75, ქუთაისი 2005წ.

წლის 24 იანვრის N2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის“ შესაბამისად.

14. ძირითადი საკონტროლო წერტილები
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „საზანოს ოცხანური“ წარმოების პროცესის სახელმწიფო კონტროლის დროს მწარმოებელმა სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს და „იმერული ღვინის ასოციაციის“ შიდა კონტროლის დროს, უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

ძირითადი საკონტროლო პუნქტები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიშები	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ დონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჭექტარო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, შუა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლუბტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადაც	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

15. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო
დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „საზანოს ოცხანური“ წარმოების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის N2-1008 ბრძანების შესაბამისად, ხოლო შიდა კონტროლს ახორციელებს უშუალოდ „იმერული ღვინის ასოციაცია“ წარმოების ყველა ეტაპზე, წელიწადში ერთხელ.





სახელოვანი ფოტორეპორტიორების, ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრების – ბადრი ვადაჭკორიასა და დემიკო ლოლაქის ოპიუჰივმა სრულად ასახა იმ დღის სიდიადე, როცა მონაბრახული კოლეგები შეხვდნენ ერთმანეთს.



პატივგება ჟურნალისტ ნანა ღონღაქისა!

გადაჭედული დარგაბი, გედნეფი სახეები, სრული ანვლაბი დარგაგზი და, რა თქმა უნდა, უზადნეფისი და გახარებული მთავარი გმირი საღამოსი...
საღამოს თბილისის საპატო მთქალაქე, ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობის წევრი, „პიონერფილმის“ უმერეფელი ხელმძღვანელი, ბატონი გრიგოლ ჩიგოგიძე უძღვებოდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ თავად საღამოს მთავარი გმირი **ნანა ღონღაქი**, იმდღევანდელი იუბილარი **იმერი პავსაძე**, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი ხელმძღვანელები **ნუგზარ ფოფხაძე** და **არჩილ გოგეშიძე**, ყველასთვის ცნობილი და პატიცსაცემი ჟურნალისტები **დემიკო ლოლაქი**, ჟურნალისტთა ფედერაციის

მდივანი **თამარ გოლქვაძე**, ხათუნა ჩარკვიანი, ნუნუკა გრძელთვლი, თანგობ ჰაჭკორია, „პიონერფილმელი“ და დღეს უკვე ჟურნალისტის ფაკულტეტის სტუდენტი **ანა ქაშიშაძე** და სხვები.
საღამოზე გაიხსენეს ქალბატონი ნანას მეუღლე, გამოჩენილი ქართველი ჟურნალისტი **თენგიზ სულხანიშვილი**.
გაიხსენეს სევდიანი ისტორიები... ეკრანზე გადიოდა კადრები აფხაზეთის ომიდან, სხვადასხვა ჟურნალისტური რეპორტაჟებიდან და მოგონებების ცრემლებს ხშირად სიხარულის ცრემლები ცვლიდა.
ერთმანეთის მონატრებისა და შეხვედრის სიხარულით გამონეული ცრემლები.
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერა-

ციის გადწყვეტილებით, ჟურნალისტი **ნანა ღონღაქი** მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება და დაჯილდოვდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით, ჯილდოები კი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე **გიორგი გამაცაშვილმა** და ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, პრემიდიუმის წევრმა **გიორგი მძინარაშვილმა** გადასცეს.
სწორედ ხანგრძლივი და წარმატებული პროფესიული მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა დღეს უცხოეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი, შეუდარებელი **ნანა ღონღაქი**!

ქალბატონი ნანა ნამდვილად დამსახურებული ადამიანია, დამსახურებული მოღვაწეა და ჟურნალისტთა ფედერაციის ვიწველი ჯილდო ახალი თავმჯდომარისა და პრემიდიუმის ვიწველი სწორედ ღონღაქისა ჟურნალისტმა მიიღო!
ჰილდე ერთხელ გადლოგას ვახდით სტუმრებს, კოლეგებს, მეგობრებს და, რა თქმა უნდა, თავად ქალბატონ ნანას!
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდენტი



„კრუს“ ხეივანი ხენდის“ კოზონაჟით „სიონილან“

ერთი ისტორია გაბახენდა, როგორც ლეგენდა(!) გადმოგვცემა – მოგვცემა თაობებს...
ჭაკუის სახანვლაველია, გასაგრეგელი!.. ისე ვყვები, როგორც შემორჩა მესხიერება:
1924 წლის აჯანყების სისხლიანი ჩახშობის შემდეგ, „ჩეკა“ რეპრესიები გააძლიერა. უამრავ ოჯახს შეეხო ეს უმედურება. რა თქმა უნდა, საზოგადოება დაიბაფრა.
არაერთი პატრიოტი ცდილობდა გამწარებული ოჯახების მორალურ თუ მატერიალურ დახმარება-გამხსნევებს.
ჩემად, მალულად, რამეთუ არავის უნდოდა „მარში ცხევევ“... მაგრამ იყვნენ ერთეულები, ვისაც ეყო გამგელოება და საჭაროდ თუ არ დავმო, რაღაც ფორმით მაინც გამოხატავდა ნუხილს, რეპრესირებულთათვის მხარდაჭერას...
ვაუკაცური ნაბიჯი გადადგა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მან მონახა პროტესტის გამოხატვის მანამდე უჩვეულო ფორმა: თეთრ ჩოხაში გამონწყობილმა, თეთრ ცხენზე ამხედრებულმა რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა „ჩეკას“ შენობას, ერთი-ორჯერ არცთუ სასიამოვნო ლექსიკით სავეს შექაბილიც მიაყოლა ამ „დემონსტრაციას“...
უამრავი ხალხი უმალ შეიკრიბა „სიერის“ სანახავად. იყო მხარდაჭერის გაუმედავი შექაბილებიც, მორიდებული ტაპიც, ისევე, როგორც ამ პროტესტის დაგმობის მცდელობებიც...
ერთი სიტყვით, მხედარი ნახვლას არ ლამობდა. პირიქით, თანდათან გამომწვევდაც იქცეოდა და ხმაყალი ანტი-სამთავრობო მონოღებებით „ცეცხლზე ნავთს ასხამდა“...
როცა „წარმოდგენამ“ კულმინაციას მიღწია, „ჩეკას“ შენობის აივანზე გამოჩნდა მაშინდელი „პირველი ჩეკისტი“, აჯანყების ჩახშობის მთავარი ორგანიზატორი ლავრენტი ბერიძე.
მომავალმა „რკინის მარშალმა“ ჯერ რაინდ გამსახურდიას შეუქაბა:
– კონია, ძალიან კი გინდა დავაპატიმრო და ცოტენე დადიანის მანტია მოისხა, მაგრამ... რომ გასკდე უკანალზე, არ დაგიჭერ და არ გადაგიქცევ ნამებულ ეროვნულ გმირად!

კლასიკა!

ვიდრე „ფარდა არ დახურულა“, ანუ წარსულის გაკვეთილები თანამედროვეთათვის



შემდეგ კი მაყურებლებს დაუცახანა:
– თქვენ რა, სხვა სასიერო ადგილი ვერ მონახეთო, თუ ყველანი ჩავაყუდოთ ახლა დილეგშიო!..
და „სპექტაკლი“ უმალ დამთავრდა. სამაგიეროდ, ეს ისტორია, თითქმის ასი წლის შემდეგ, დღესაც ცოცხლობს ხალხის მესხიერებაში.
P.S. ეჰ, საქართველოს როგორ აკლია:
– თანამედროვე ცოტენე დადიანები...
– კონსტანტინე გამსახურდიები...
– ჭაკუიანი, „სუფთახელოვანი“ პროკურორებიც, არაკლანური მოსამართლენიც...
– განათლებული(!), არასაქვო გმირი მოკოვერული დიპლომატის მქონე, ხალხის სამსახურში გულწრფელად გყოფი არალოგისტი დეპუტატიც...
– მთავრობის თანამდებელი და უანგარო წევრები...
– და, რა თქმა უნდა, გონიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, გაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე, თაახში აღზრდილი... ოპოზიციონერიც, არასამთავრობო ჯგუფები, როგორც წარმოადგენენ გზოლოდ პოლიტიკურ თანამოაზრებს, ნად სამოქალაქო სივრცეს – გულანთეფულ, უანგარო, ნამდვილად ქვეყნის დემოკრატიული ნივთილის მოსურნე საზოგადოებას, არ მოქმედებენ ქვეყნის შიგ თუ გარეთ მოქმედი პოლიტიკური თუ. სპეცდაინფორმაციის სტრუქტურების კარნახით, მათი ინტერესების სასარგებლოდ და არ ფინანსდებიან უთოფო ყაჩაღობით ქვეყნისთვის ნაგლავილი ფულით თუ სხვა, საყვო წარმომავლოების სახსრებით!
ნუგზარ ფოფხაძე,
9 აგვისტო. 2019.
(„რეპორტიორის“ არქივი).

სულთანა



ოთარ ხუზენიას ნათელ ხსოვნას

თვის მოღვაწეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახალხო მუხრანის მართვის ინსტიტუტში, სადაც სრულიად ახალგაზრდას ანდეს ლექციების კურსის გაძღოლა ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკებისათვის. მისი სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები ამ სფეროში მეთოდური რეკომენდაციების სახითაც მრავალგზის გამოცემულა.

კიდევ ერთი საპასუხისმგებლო უბანი – სოციალური სფერო და მისი პრობლემების მოგვარება ანდო მას სახელმწიფომ, რასაც დიდი ამაგი დასდო. მისი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი წლები უკავშირდება სოციალურ სფეროში ინსტიტუციონალურ რეფორმებს.

სამედიცინო დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის პოზიციაზე (1991-2000) მისი უნარი, როგორც ნიჭიერი ხელმძღვანელია, კიდევ ერთხელ ნათელი გახდა. კანტისეული შეგონების („ადამიანის ჯუჯის ნაყოფთაგან ორი საქმეა უძნელესი – მართვის ხელოვნება და აღზრდის ხელოვნება“) პირველი ნაწილი მასზე, ვფიქრობთ, შედგამოჭრილია...

ვეროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად მან შეძლო საქართველოში არა ერთი წარმატებული პროექტის განხორციელება.

...მოლოდინე დარჩა ერთგული აფხაზეთისა. ვერ წარმოედგინა საქართველო უაფხაზეთოდ და საქართველოს ეს ნაღვლი – უაფხაზეთოდ. დიდი ამაგი დასდო და მოლოდინე გაიხარა ქართულ-აფხაზეთის ხიდგაყვანილობის პრობლემების მოგვარებისთვის. უფრო მეტიც, პირადი დანაზოგაც არ დაუშურებია მრავალი დღეებისათვის, ყოფითი თუ სხვა პრობლემების მოსაგვარებლად...

ნაყოფიერად იღვანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებშიც.

უმრალეობა, ერთგულება, კეთილშობილება, უშუალობა იყო ამ ღვთისნიერი ადამიანის სავიზიტო მარათია...

დასანანია, რომ სამეცნიერო საღვანად განგებამ მისთვის მხოლოდ სამოცდაათი წელი გაიმეტა, თუმცა ცხოვრების შეგნებული პერიოდის მანძილზე იმდენი სიბოლო და სიკეთე დატოვა, ძნელია ტოლსწორი მოუძებნო. გაივლის წლები და, წარმოუდგენელია, საქმემან მისთან სანთელ-საკმეველით გზა არ გაიკვლიოს, კეთილად არ იმარტყოს...

იცხოვრა ისე, როგორც დავით მეფსალმუნის პირველი ფსალმუნი დაუდგებს: „ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას... რადგან უფალმა უწყის მართალთა გზა, უღმრთოთა გზა კი წარისხვეტება.“ განისვენოს მართალთა შორის, ამინ!...

სამედიანოს სასახელო შეილთა შორის ოთარ ხუზენიას სახელი განსაკუთრებულად გამოჩნეულია. ამ ღვთისნიერმა კაცმა, ზეცით მოძებნილი ნიჭით, შრომითა და კაცთმოყვარეობით განუხორციელა კვალი დატოვა არა მარტო აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს სინამდვილეში. მისი სამეცნიერო ყოფა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი, ოჯახი, საქმე საეროდ საკეთებელი...

მარადისობაში მისი გადამრძანების მეორმოცე დღეს ეს გამოსათხოვარი წერილი, რომელსაც ხელს მისი უფროსი კოლეგები, მეგობრები და ახლობლები ვაწერთ, ალალი სამადლომელია მისი ღვანლისათვის ერისა და სამშობლოს წინაშე, თითოეული ჩვენგანის წინაშე.

დაიბადა 1954 წლის 9 მაისს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში, შედაგოვების ოჯახში. შეგნებული ცხოვრებისათვის მყარი საფუძველი მშობლიური სკოლის სრული კურსის წარჩინებით დამთავრებით შექმნა. ოჯახში მიღებული აღზრდა, კოლხური მრდილობა და თავმდაბლობა გაჰყვა საგზალად ცხოვრების შემდგომ გზაზე.

განათლების შემდგომი საფეხურის დაძლევის მოწყურებული ჭაბუკი წარჩინებით ამთავრებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მუხრანის დაგეგმვის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით და ღებულთაშ ეკონომისტის კვალიფიკაციას.

1978-80 წლებში მუშაობდა საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მუხრანის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან ის, როგორც საგადასახადო ინსპექციის უფროსი, ხელმძღვანელობდა სისტემის რეფორმირების პროცესს.

ცხოვრების შემდგომი პერიოდი მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას დაუთმო, სადაც წარმატებით იღვანა. ჩვეული ოსტატობით განვლო ამ სფეროს ყველა იერარქიული საფეხური. თეორიული და პრაქტიკული ჩვევების რეალურ საქმეში წარმატებული განივთება მისი მუშაობის გარკვეული საფეხით მართა იყო...

განსაკუთრებულად ნაყოფიერი გამოდგა მის-

წოდარ ჭითანაპა, სოლომონ პავლიაშვილი, ზაზა სოფრომაძე, გოგი ძირია, დავით ვეკუა, ბაკურ ბულუა, გურამ გუნაპა, მიხეილ ჯიჯუტი, ედიშარ გვენათაძე, თამარ კიკნაძე, ვახტანგ ყოლბაია, ზურაბ ხონელიძე, ჯემალ ბამახარია, რუდიკ ცაბაძე, გიბ გვაზაძე, თამაზ ხუბუა, დალილა ხორაპა, ზურაბ მუხრანია, გური ოტოხაია, რუსუდან ფირცხალაძე, გოგი ხუზენია, გიბ ზარანდია, გულნარა თოდუა, მალხაზ ფარცვაძე, გურამ გორბილაძე, ციცო არეშიძე, ავთანდილ ცხვიტაია, მანა ზაშტაშვილი, თამაზ ბოლქვაძე, ცინიან ცხადაია, ჟუჟუნა ფანცულაია, ნუგზარ ჩოხელი, ნათელა ბერიანიძე, მაკა თავაძე, ნანა გოგიჩაიშვილი, მალხაზ თამთაშიშვილი, შალვა გაზდელიანი, თამაზ ძირია, ივანე მელიქიშვილი, მარინე კიკნაძე, ლალი მურვანიძე, ნათა როსტიაშვილი თამარ ძარსელაძე, მანანა შველიძე, ირინა კილაძე, მანა ნიკლაშვილი, ბასიკ ჩაღუნელი, მარინა ჩხანიძე, ვახტანგ კურდღელაშვილი, ტარიელ მელთაური, დანიელ ბახარია, ლაშრა ბამრეკელი, ზურაბ ბუკია.

რუისპირი მამაკაცი ცხსხსასროლი იარაღით დაჭრას

შემთხვევა ერთ-ერთ რესტორანში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, სროლას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა, მამაკაცს ჭრილობა თავის არეში, ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვს მიყენებული.

დაზარებული თელავის რეფერალურ საავადმყოფოში რენიმიაციულ განყოფილებაში მოთავსებული. ექიმების თქმით, მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

სოფელ კაბალში ბაზრის მალაზიის მფლობელი მოკლას

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი: 1998 წელს დაბადებული გ.ო. და 1994 წელს დაბადებული ე.ი. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 25 ივნისს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბალში, ავტარული მანქანის ტერიტორიაზე, ამავე მანქანაში ერთ-ერთი მალაზიის მფლობელი – 1975 წელს დაბადებული ფ.ა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გ.ო და ე.ი. ცხელ კვალზე, ბრალდებულების სახით დააკავეს.



ერთ-ერთი მალაზიის მფლობელი – 1975 წელს დაბადებული ფ.ა. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მიყვანამდე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გ.ო და ე.ი. ცხელ კვალზე, ბრალდებულების სახით დააკავეს.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სანქციონირებული შპს „ემჯი პოლიდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ჭაბუკი ჭოხონელიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ჭაბუკი ჭოხონელიძე (პ/მ 18001005134), მესტაფონი, ს. ქვედა საქარა, მე-40 ქ. N32; თბილისი, ვარკეთილი-3, 3ა მ/რ, კორპუსი 343, ბინა N5ა
 2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: თბილისი, ვარკეთილი-3, 3ა მ/რ, კორპუსი 343, ბინა N5ა (საკადასტრო კოდი: 01.19.39.012.005.01.005ა)
 3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდასახალი სანივთო ვალდებულებებით.
 4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 192342.33 ლარი.
 5. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 25 ივნისი, 14:00 საათი.
 6. აუქციონის დასრულების თარიღი: 2025 წლის 10 ივლისი, 14:00 საათი.
 7. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის მენეჯერი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექმნიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლიდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP110268725; ლოტის ნომერი: 1102687). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 10 ივლისის 12:00 საათამდე.



სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი დაეით მახტაძე, ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს დაესწრო.

„ღონისძიება საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ერთი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა,

ჯანსუღ კახიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი სამტრედიის



რომელშიც ანსამბლ „რანინასთან“ ერთად, მონაწილეობდნენ ნეკა სევისკვერაძე და ზენდი. საკონცერტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ჯანსუღ კახიძის ცნობილი სასიმღერო ნაწარმოებები“.

ტო პროგრამაში წარმოდგენილი იყო ჯანსუღ კახიძის ცნობილი სასიმღერო ნაწარმოებები“.

საერთაშორისო კონფერენცია „განათლება – კეთილდღეობის კატალიზატორი“



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე ნულუაძემ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „განათლება – კეთილდღეობის კატალიზატორი“ გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში გაიმართა, – იხორმა-ციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მინისტრმა დასწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის კუთხით განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სამდღიანი კონფერენციის მიზანია განათლების, როგორც პიროვნული და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მამოძრავებელი ძალის წარმოჩენა და აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტების როლის ხაზგასმა. მონაწილეები მსჯელობენ საზოგადოების კეთილდღეობასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და გადაჭრის გზებზე.

კონფერენცია ფარავს შემდეგ მიმართულებებს: განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მეცნიერებები; ეკონომიკა; სამართალი; ციფრული ტრანსფორმაცია; უნივერსიტეტის დანიშნულება და მისია; განათლების ხარისხი.

სამდღიანი კონფერენციაში მონაწილეობდნენ – ცნობილი მეცნიერები, საერთაშორისო ორგანიზაციების – ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA); Advance HE (Great Britain); HER (Great Britain) – წარმომადგენლები და პროფესორები ისეთი წარმატებული უნივერსიტეტებიდან, როგორებიცაა – Case Western University; Cleveland University (Ohio); Bremen University; Ashaferburg University; International University of Technology Cologne; Middlesex University (London); Arden University (London); Kings College London; Sorbonne University (Paris); Alicante University; University of Coimbra; Tuscia University; University of Education Upper Austria; University of Warsaw.


ელისაბედ II-ის პატივსაცემად მემორიალური კომალიუსი გახედება

გრიტანეთში დედოფალ ელისაბედ II-ის მემორიალის პროექტზე გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული გამოცხადდა. გამარჯვებულად ცნობილი გრიტანელი არქიტექტორის ლორდ ნორმან ფოსტერის გიურთ გახდა.

ფოსტერის პროექტი ითვალის-

წინებს დედოფლის ცხენზე ამხედრებული ქანდაკების შექმნას, ასევე კიდევ ერთი მონუმენტის აგებას, რომელზეც გამოსახული იქნება დედოფალი და მისი მეუღლე, პრინცი ფილიპი. მემორიალის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება ნახევრად გამჭვირვალე ხიდი, რომელიც დედოფლის საქორწინო ტიარას მოგვაგონებს.

კომპლექსი ლონდონის სენტ-ჯეიმის პარკში, ბუკინგემის სასახლის მახლობლად გახედება. ელისაბედ მეორე 2022 წლის 8 სექტემბერს, 96 წლისა გარდაიცვალა.



პრეზუმის პირველი 100 მემორიალი ხელთ არის დაგეგმილი. კრებულს ორი წინასიტყვაობა აქვს – ერთი „დანტე ალიგიერის“ საზოგადოების გენერალური მდივნის ალესანდრო მასის და მეორე სენატორ მასიმო გარავალიას.


„როდესაც პოეტი შეუყვარდება ადგილს, ეს ადგილი წყვეტს იყოს მხოლოდ გეოგრაფია: ადგილია იტალია, ხოლო პოეტი – დათო მალრადე. ჩვეულებრივ, ლიტერატურული ნაწარმოებების კითხვისას მკითხველი ქმნის ავტორის გამოსახულებას.

მე მაქვს მედნიერება, რომ დათო მალრადე პირადად ვაგვიცანი და შემოძლია ვთქვა, რომ ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა, როდესაც მისი ლექსებიდან წარმოქმნილი ავტორის სახე სრულად ემთხვევა მის პიროვნებას: ნამდვილს, ვენებთან, ღრმად ჰუმანურს.

ჩემთვის დიდი პატივია ამ სიტყვების დანერგა წინასიტყვაობისთვის. ამ პოეტური კრებულის წარდგენა, რომელიც ასეთი სიღრმით აღნიშნავს იტალიას, ჩემთვის არა მხოლოდ მკითხველის, არამედ უნიკალური ხმის მოწმის გამოცდილებაა. დათო მალრადე ის პოეტი, რომელიც თითოეულ სიტყვას ინტენსიურად განიცდის, აქცევს მას ხიდად ემოციებსა და მნიშვნელოვნებს შორის. ამ კრებულში იკვეთება მისი ვნება ჩვენი ქვეყნისადმი, რომელიც ხდება ღრმა და პიროვნული რეფლექსიის ცენტრი.

რომში „დანტე ალიგიერის“ საზოგადოებამ პოეტ დათო მალრადის ლექსების კრებული ROMA AMOR გამოცხადდა

მალრადე არ შემოიფარგლება მხოლოდ აღწერით, ის მკითხველს უბიძგებს იგრძნოს: მისი ხმა, ერთდროულად უძველესი და თანამედროვე, ახერხებს იტალიის გამოხატვას არა მხოლოდ როგორც ფიზიკური სივრცის, არამედ როგორც კულტურისა და შთაგონების მარადიული სიმბოლოსი.



ვინაა, რომელიც თითოეულ ლექსს აცოცხლებს, ღრმა, თითქმის რელიგიური: თითოეული სიტყვა, თითოეული გამოსახულება ცოცხლდება და გვაგვიჩვენებს სენას. მალრადე წერს გაცხადებულ განზრახვით, რომ მკითხველი გულგრილი არ დარჩეს: მისი პოეზია არ ერიდება, იყოს ძლიერი, შერყოს, მკითხველი მიიწვიოს, შეხედოს სამყაროს და საკუთარ თავს ახალი თვალწინა, თითქმის გვასწავლის თავიდან სიარულს, – აღნიშნულია სენატორ მასიმო გარავალიას წინასიტყვაობაში.

ორთაჭალკის თაღოვანი ხიდის სრული რეაბილიტაცია იწყება

მდინარე მტკვარზე 28 ივნისიდან ორთაჭალკის თაღოვანი ხიდის სრული რეაბილიტაცია იწყება. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, პაპა პალაქაშვილმა მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

„პროექტის ფარგლებში, ხიდის საჯალ ნაწილს დემონტაჟი ჩაუტარდება, მოეწყობა კონსტრუქცია,

წყალარინების სისტემა და შესრულდება პიდრობოლოაციის სამუშაოები. ასევე, დაზიანებული მოაჯირები აღდგება და მისი კონსტრუქციები გამაგრდება; გარე განათების ძველი მოქმედი შეიცვლება და დამონტაჟდება თანამედროვე, ენერგოეფექტური LED სანათები; განახლდება ტროტუარები“, – აღნიშნა პაპა პალაქაშვილმა.

საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სვანტაჰ ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვეცილა,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელშეწყობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქსების სიხშირე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აწვდის სოციალური ქსელებიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უსმუხრო პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქსების, ინფორმაციის სიხშირეზე.

იბეჭდება სტამბა
„ქოლორი“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორი
კავშირი
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323



რეკლამისთვის
დარეკით:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგებობის მისამართი
ჩართვისათვის ანგარიში:
GE90BG000000538329790

მოქალაქე
ნომერი
გამოვა
ორჯამის,
30 ივნისს